სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/29

ქ. თბილისი 6 აგვისტო 2021

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ მიერ ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით უსასყიდლოდ დროებით თხოვების ფორმით ფართის გადაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და 85-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 და 45-ე მუხლების, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2021 წლის 5 აგვისტოს №0000774795 წერილის, სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის №01-05-02/23 სხდომის ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 6 აგვისტოს №01-06-02/09 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით, ქ. თბილისში, მ. კოსტავას 71-ში მდებარე უნივერსიტეტის მე-7 სასწავლო კორპუსში არსებული არაუმეტეს 3 081 კვ.მ.-ისა და მ. კოსტავას 69ა-ში მდებარე მე-10 სასწავლო კორპუსში არსებული არაუმეტეს 1 900 კვ.მ. ფართობის, აუქციონის გარეშე, უსასყიდლო დროებით თხოვების ფორმით გადაეცეს შპს „ევროპის უნივერსიტეტს“ (ს/ნ 201954956) 14 წლის ვადითა (პროგრამების ორჯერადი აკრედიტაციის ვადით) და შემდეგი პირობებით:

- შპს „ევროპის უნივერსიტეტი“ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს დროებით გადაცემული ფართის კეთილმოწყობა დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, რათა სასწავლო პროცესი წარიმართოს შეუფერხებლად. ამასთან,

ფართის გადაცემა არ შეუზღუდავს ტექნიკურ უნივერსიტეტს აღნიშნულ სივრცეში ერთობლივი პროგრამების განხორციელებას;

- შპს „ევროპის უნივერსიტეტი“ იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული 1000 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ავტორიზაციის სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა, აღნიშნულ ფართობზე ტექნიკური უნივერსიტეტის მთის ფაკულტეტის განთავსების მიზნით;

- ქონების დროებით თხოვების ფორმით გადაცემის სანაცვლოდ, შპს „ევროპის უნივერსიტეტი“ უზრუნველყოფს უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტების მოზიდვას ერთობლივი პროგრამების განხორციელების პროცესში;

- შპს „ევროპის უნივერსიტეტი“ იღებს ვალდებულებას, აანაზღაუროს გადაცემული ქონების ერთობლივი პროგრამების განხორციელების მიზნით გამოყენების პერიოდში წარმოშობილი კომუნალური გადასახდელები საკუთარი ხარჯით.

2. ორივე მხარის აღნიშნული ვალდებულებები გათვალისწინებულ იქნეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ევროპის უნივერსიტეტს შორის დადგენილი წესით დადებულ ხელშეკრულებაში საქართველოს მთავრობის ნებართვის შემდეგ.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**